<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---იანვარი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ლოტბარის თემურ ქევხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს ლოტბარის თემურ ქევხიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

NAPR
ბეთლემი დავითაიას ქუჩა
ბეთლემი დავითაიას ქუჩა
ბეთლემი დავითაიას ქუჩა

წერილის ნომერი: **72-01222652106**
თარიღი: **22/09/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ„მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" ფოლკლორულ მიმართულებას და ანსამბლ ,,დარიალს" წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ,,საუკუნის ხმად" აღიარებული საქართველოს სახალხო არტისტი - თემურ ქევხიშვილი.

ბატონი თემური იყო ანსამბლ ,,გორდელას" ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი. წლების მანძილზე იყო სხვადასხვა გუნდის ლოტბარი და ხელმძღვანელი. ასევე, საქართველოს ტელე-რადიო გადაცემების „ქართული ხალხური სიმღერების გაკვეთილების" ავტორი და წამყვანი. მისი ქართული რეპერტუარი ძირითადად მოიცავდა ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს. ფონდმა „ქართული გალობა" თემურ ქევხიშვილი „საუკუნის ხმად" აღიარა. მიღებული აქვს საქართველოს სახალხო პრემია და ღირსების ორდენი.

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე" მოგმართავთ ინიციატივით, თემურ ქევხიშვილის დამსახურების გათვალისწინებით, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს მისი სახელი.

თინათინ რუხაძე

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე"-
დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



თემურ ქევხიშვილი

(1940-2020)

ქართველი მომღერალი (ლოტბარი), პედაგოგი. საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი .

დაიბადა ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში. 1958 წელს დაამთავრა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი. 1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (გუნდის დირიჟორი). 1961–1976 წლებში იყო ანსამბლ „გორდელას“ ერთ–ერთი დამაარსებელი და წევრი. წლების მანძილზე იყო სხვადასხვა ანსამბლის და გუნდის ლოტბარი და ხელმძღვანელი, პედაგოგი. 1966–1970წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდი, ანსამბლი "ოროველას" წევრი, 1981–1990 წლებში იყო საქართველოს ტელე-რადიო გადაცემების „ქართული ხალხური სიმღერების გაკვეთილები“ ავტორი და წამყვანი.იყო ანსამბლ "რუსთავის" სოლისტი; მისი ქართული რეპერტუარი ძირითადად მოიცავდა ქართული ხალხური სიმღერებსა და საგალობლებს. გასტროლებით იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 2013 წლის 11 ივნისს ფონდმა „ქართული გალობა“ თემურ ქევხიშვილი „საუკუნის ხმად“ აღიარა. მიღებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემია (2012). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1991). დაჯილდოებული იყო მრავალი პრემიით. 1970 წელს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა, 199 0წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, 1991 წელს ღირსების ორდენით დაჯილდოვდა, 2012 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა.

გარდაიცვალა 2020 წლის 8 დეკემბერს, 80 წლის ასაკში ჩOVID-19-ით.